ახალი წიგნი

/საკითხავი ყმაწვილთათვის და უფროსთათვის/

როცა ვარიანში ყველა სახლი ფანჯრებს ხუჭავს, როცა ბუხრებიდან კვამლის ნაცვლად ჭრელი სიზმრები მიცურავენ ცისკენ ტაატით, ტირიფის მწვანე სანთელივით ჩამოღვენთილი ტოტების ჩრდილს მოხუცი კაცი გამოაგრძელებს, გამოჰყვება მოკირწყლულ ბილიკს, წყაროს ჩაუვლის ჩაფიქრებული.

წყარო ნაკადულებად იტოტება, თითქოს წყლის ცისფერი ხე გაწოლილა მიწაზე, მოხუცი კაცის სიახლოვისგან ოქროს თევზები პულსივით უცემს.

-ნახე, იაკობი მოვიდა, - ფუღუროში პატარ ბუს ჩუმად ულუკლუკებს დედა ბუ.

-ეს ის იაკობია, არა, დედი? - ეკითხება პატარა ბუ და ფუღუროდან იჭყიტება თვალებდაკუსული.

-ისაა, შვილო, ის, ჩვენი იაკობი, - გაბუმბლულ თავზე ეფერება დედა ბუ. მერე ფრთხილად გაშლის ფრთებს, ჩუმად გადაიფრენს ეზოდან და ჩუმადვე გადაულუკლუკებს სხვა ჩიტებსა თუ ცხოველებს:

-იაკობი მოვიდა, იაკობი!

-იაკობი მოსულა! - სიზმრის ბალიშებს უფერთხავენ მძინარე შვილებს კურდღლები თუ მელიები, ბეღურები თუ ნიბლიები, შვლები თუ ციყვები, თრითინები თუ ძილგუდები და მიარბენინებ და მიაფრენენ.

უნდათ, შვილებმა ნახონ და დაიმახსოვრონ ადამიანი, ვინც მათზე წერდა სიყვარულით „ბუნების კარში“, ვისაც ბუნება, ჩიტები და ცხოველები განსაკუთრებულად უყვარდა და ცდილობდა, ეს სიყვარული პატარებისთვისაც ესწავლებინა, ვინც „აი ია“ მოიგონა...

მივლენ, იაკობის ეზოს შემოეჯარებიან გარს და ღობიდან ჩუმად უჭვრიტინებენ ეზოში ჩაფიქრებით მოსიარულე, შიგნიდან უცნაურად ამოშუქებულ მოხუცს.

-დედი, ესაა იაკობი? - ჩუმად ეკითხებიან ბაჭიები დედა კურდღელს.

-ესაა, ესაა ჩვენი იაკობი, - ყურებს უქნევს კურდღელი შვილებს.

-დედი, ესაა იაკობი? - ჩურჩულებენ მელაკუდები და ლამისაა გაძვრნენ ღობეში.

-ესაა, ესაა ჩვენი იაკობი, - ეუბნება მელია და თან ტუქსავს, - ფრთხილად იყავით, ვერ ხედავთ? ფიქრობს, ხელი არ შეუშალოთ.

-ესაა იაკობი? - კითხულობენ სხვა პატარებიც და ცნობისმოყვარედ სუნსულებენ ღობის გარშემო.

მოხუცი მათ ვერ ხედავს, არ ესმის მათი ჩურჩულიც. ნელი ნაბიჯით დადის ეზოში, დადის და ფიქრობს.

საფიქრალი არც ადრე აკლდა, ამის გარეშე არც "ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის" იქნებოდა, არც „დედა ენა“, არც „ბუნების კარი“,არც სხვა უამარვი წიგნი, მოთხრობა, ლექსი... არ იქნებოდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“...

თან როდის?! როცა ქართული თითქმის აღარ ისმოდა, როცა წერა-კითხვა არ იცოდნენ სოფლად მცხოვრებმა ადამიანებმა, როცა სამშობლოს ბოლო წვეთიღა იყო დარჩენილი და ეს ბოლო წვეთიც მალე ჩამოწყდებოდა, შეერეოდა მიწას და სამუდამოდ გაქრებოდა მახსოვრობიდან...

შეძლეს და გადაარჩინეს, წვეთი რუდ აქციეს, რუ - მდინარედ...

საფიქრალი კი მაინც არ ელეოდა მოხუცს, საფიქრალს სადარდებელიც მოჰყვებოდა და არ ასვენებდა.

უბრუნდებოდა დრო-დრო ვარიანის ბავშვობის ეზოს უნაურად ამონათებული მოხუცი ჩრდილად, თავისი მოლივლივე, მანათობელი სულით.

აქ ყველაზე მეტად უყვარდა მოსვლა და ფიქრი.

ახლაც აქ იყო, ბავშვობის გამკრთალებულ ნაფეხურებზე დააბიჯებდა და ფიქრობდა თავისთვის.

დარდობდა გაჩეხილ ტყეებზე, ადრე მითიური ტიტანებივით რომ აკავებდნენ ყველა სტიქიას და ახლა, ადამიანებისგან ახოებად გადაქცეულნი, ვეღარც ქარიშხლებს ერეოდნენ, ვეღარც მეწყერს.
უტყეოდ დარჩენილი მთები მოულოდნელად შვილმოკლული მამებივით ამოხეთქავდნენ და ღვარცოფად მოედინებოდათ ცრემლი.

მოდიოდა ეს ღვარცოფი და გზადაგზა ყველა სიმწვანეს ტალახისფერით გადადღაბნიდა.

ახლა ლიახვი? - მადლიანად გაშლილი გულით, ვერცხლისფერი თევზებით სავსე, წყალ-ჭალების და სოფლების უშურველად დამრწყულებელი... ხან კალაპოტს შეუცვლიდნენ, ხან უხეშად ერეოდნენ მის მუდმივ და ლურჯ დინებაში და ისიც ბრაზისგან იმღვრეოდა, კოკისპირული წვიმებით დიდდებოდა, მოდიოდა გავეშებული და გველეშაპივით ყლაპავდა ვაშლის ბაღებს, ვენახებს, ყანებს, სახლებს, ხიდებს...

ეს საფიქრალი ჰქონდა მოხუცს, ეს ადარდებდა. დადიოდა ეზოში და დაბუტბუტებდა:

-რამდენს ვეცადე და მაინც ვერაფერი ვასწავლე ადამიანებს. მინდოდა, ბუნება ჩემ შემდეგ ყვარებოდათ და ვერ შევძელი. ვერ გავაგებინე, რომ ბუნებას ისევე უნდა მოვლა, როგორც საკუთარ ეზოს უვლიან, საკუთარ შვილებს, საკუთარ სახლებს... არ ესმით, რომ ეს ყველაფერი - ღვარცოფები თუ წყალმოვარდნები ბუნებაში მათი უხეში ჩარევის შედეგია... არადა, მთელი ჩემი სიცოცხლე მათ განათლებაზე ვზრუნავდი, მინდოდა, ბავშვობიდანვე

სცოდნოდათ ბუნების მნიშვნელობა, რომ მერე ძვალ-რბილში გასჯდომოდათ.
რაღაც უნდა მოვიფიქრო, სანამ გვიანი არაა, სანამ ხეები კიდევ დარჩა, სანამ ღვარცოფებს არ დაუმარხავთ ისედაც თითზე დასათვლელი ჩვენი სოფლები... არადა, ახლა ხომ არსებობს ახალი ტექნოლოგიები, რომლის გამოყენებითაც ბუნებასაც გადაარჩენ და საკუთარ სიცოცხლესაც? როგორ ავუხსნა, როგორ გავაგებინო“...

უცებ უფრო მეტად გაუნათდა მანათობელი სული, ნაბიჯს აუჩქარა, სახლის კარი გააღო, ოთახში შევიდა და მაგიდას მიუჯდა.
ლამპა არც აუნთია, ისე აშუქებდა სულთან ერთად მისი გამჭვირვალე სხეული. წინ ფურცლები დაილაგა, ჩააწო მელანში კალამი, რომლითაც ადრე „აი ია“ გამოჰყავდა გულმოდგინედ, და წერა დაიწყო.
წერდა, რა მძიმე და მავნე გავლენას ახდენდა გარემოზე დამიანების მიერ წიაღისეული საწვავის ჭარბი მოხმარება, რაც თავის მხრივ კლიმატურ ცვლილებასა და კატასტროფებში გამოიხატებოდა. ეს იყო ზღვებისა და ოკეანეების დონის აწევა, ნალექიანობის რეჟიმის ცვლა, წყლის რესურსების შემცირება, ნიადაგის დეგრადაცია, გაუდაბნოება, მყინვარების დნობა...

წერდა და ხსნიდა, ამისგან თავდასაცავად თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განახლებად ენერგიებსა და ენერგოდამზოგავ ტექნოლოგიებს, ქარის ელექტროსადგურებს, მზის პანელებსა თუ ეკონომნათურებს...

წერდა, რომ თუ გადარჩენა უნდოდათ, აუცილებლად უნდა განევითარებინათ ინფრასტრუქტურა: ეწარმოებინათ ნაპირსამაგრი სამუშაოები, მოეწყოთ ქარსაცავი ზოლები, გამწვანება-სარეკრეაციო ღონისძიებები...

წერდა ყველასთვის გასაგებად, პირველ სახელმძღვანელოდ ამ სფეროში, ისეთად, როგორიც იყო „დედა ენა“, ბუნების კარი“.

წერდა თავაუღებლად, შეუსვენებლად, მანამ, სანამ ბოლო წერტილი არ დასვა და შვებით ამოისუნთქა:
„მალე 27 ოქტომბერი დგება. ჩემი დაბადების დღე. ბევრი სტუმარი მოვა ამ სახლში. ბევრი ბავშვი და მასწავლებელი. და ყველა ნახავს ამ წიგნს, ყველა წაიკითხავს, ყველა ისწავლის, გარაჩება ჩვენი ბუნება“.

მერე ადგა იმედიანად, დაკმესილი პიჯაკი გაისწორა, გარეთ გამოვიდა და გაფერმკრთალებულ ღამეს შეურია უცნაურად ამოშუქებული სხეული და მანათობელი სული.

-წავიდა ჩვენი იაკობი, - აჩურჩულდნენ ღობეს შემოჯარული ჩიტები და ცხოველები. ეზოში შესუნსულდნენ, ეზოდან- ოთახში.

-დედი, აქ ახალი წიგნი დევს! - მაგიდაზე ამვრა მოუსვენარი მელაკუდა.
-ახალი წიგნი! იაკობის ახალი წიგნი! - მელაკუდას მიუსკუპდნენ სხვა პატარებიც.

-აბა, წაიკითხეთ, რა აწერია, კითხვა ხომ ისწავლეთ „დედა ენიდან“? - გაუღიმეს მშობლებმა ცნობისმოყვარე შვილებს, თავადაც ნაზი სიყვარულით დახედეს დიდი ადამიანის ახალ

საგანძურს.

-ჯერ მე წავიკითხავ! - ალუკლუკდა პატარა ბუ.

-არა, ჯერ მე! - აწუწუნდა ბაჭია.

-ჯერ მე უნდა წავიკითხო! პირველი მე ამოვძვერი მაგიდაზე! - გაჯიუტდა მელაკუდამ.

-ყველამ წაიკითხეთ! - ისევ გაეღიმათ მშობლებს.

კარგიო, დაუჯერეს პატარებმა და მელნით გამოყვანილი ასოები დამარცვლით წაიკითხეს:

ა ხა ლი ბუ ნე ბის კა რი

ყმაწ ვილ თა თვის და უფ-როს თა თვის

ი ა კობ გო გე ბა შვი ლი